ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8028427

ნომერი: AR11153640

თარიღი : 22.07.2026

გაცემის თარიღი : 03.08.2026

გაცნობის თარიღი : 03.08.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბეჟანიშვილი , N 15 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ე. ბეჟანიშვილის , 15-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ჩხიკვაძე პ/ნ 01002014454
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, კორპუსი 28ბ, ბინა 55

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 მარტის №6923427 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 22 ივლისის №AR11153640 განცხადებით მომართა ქეთევან ჩხიკვაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 7

მარტის №6923427 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 მარტის №6923427 ბრძანებით, №01.12.12.005.010 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 26 მარტის №6951686 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 3 თებერვლის №7364810 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2024 წლის 26 მარტის №6951686 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 7 მარტის №6923427 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია კომერციული ფართობის (30.2 კვ.მ.) დაფიქსირება. ამასთან, საცხოვრებელი ფართობი 1671.4 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1671.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 383.18 კვ.მ-ის ნაცვლად 381.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 446.6 კვ.მ-ის ნაცვლად 505.3 კვ.მ., დამხმარე ფართობი 35.5 კვ.მ-ის ნაცვლად 51.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 428.8 კვ.მ-ის ნაცვლად 391.1 კვ.მ., საერთო ფართობი 2965.48 კვ.მ-ის ნაცვლად 3030.7 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და არქიტექტურული გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 მარტის №6923427 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს კომერციული ფართობი: 30.2 კვ.მ., ამასთან, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 1671.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 381.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 505.3 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 51.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 391.1 კვ.მ., საერთო ფართობად: 3030.7 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 მარტის №6923427 ბრძანებით შეთანხმებული -3.10, +0.0, +4.100 და +13.550 ნიშნულის არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 მარტის №6923427 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 7 მარტის №6923427 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.